

კოლხური ბუჩხის (*Buxus sempervirens* L.) გავრცელების დინამიკა
საქართველოში ბოლო 100-120 წლის მანძილზე.

The dynamics of distribution of the Colchic boxwood (*Buxus
sempervirens* L.) in Georgia for the last 100-120 years

სტუდენტი - სერგო თაბაგარი

პროფესორი - მარინე მოსულიშვილი

სამაგისტრო პროგრამა: ბუნებათსარგებლობა (MSC)



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

„ვაცხადებ, რომ ჩემი წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი, წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ს.თაბაგარი, _____ 10.01.2020

შინაარსი

აბსტრაქტი	3
საკვლევი პრობლემა/ საკითხი	4
კვლევის მიზანი და ამოცანები	5
ლიტერატურული მომთხილვა	7
მასალა და მეთოდები	13
შედეგები და დისკუსია	13
დასკვნა	27
მადლობა	29
ბიბლიოგრაფია	29
დანართი 1	31
დანართი 2	32
დანართი 3	35

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ჩვენ მიერ საველე კვლევების შედეგად (2018–2019) მოპოვებული მონაცემებისა და მე–19 მე–20 საუკუნის ლიტერატურულ წყაროებში არსებული მასალის შედარების შედეგად

საქართველოს ტერიტორიაზე კოლხური ბზის გავრცელების დინამიკაბოლო 100-120 წლის მანძილზე.

ნაშრომში ასევე განხილულია საქართველოში, ბოლო წლებში, ახლადგამოჩენილი დაავადებების: ინვაზიური მავნებლის ბზის ალურას (*Cydalima perspectalis*) და სოკოვანი დაავადების ბზის სიდამწვრის (*Cylindrocladium buxicola*) მიერ ბზის ბუნებრივი კორომების დაზიანება, აგრეთვე აღწერილია დაავადებების თავისებურებებისა და მათ წინააღმდეგ 2017–2018 წლებში ჩატარებული ქიმიური და ბიოლოგიური ბრძოლის შედეგები. ნაშრომში განხილულია ბზის დაავადებების წინააღმდეგ საქართველოს ოთხ რეგიონში (გურია, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) ჩატარებული წამლობის ღონისძიებების შედეგები. კვლევამ აჩვენა, რომ ბიოლოგიური და ქიმიური პრეპარატებით განხორციელებული ბრძოლის ღონისძიება ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა ბზის ალურას და ბზის სიდამწვრის წინააღმდეგ. ბზის ბუნებრივი კორომების დაცვისა და შემდგომში მათ აღსადგენად საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

შესავალი

საკვლევი პრობლემა/ საკითხი: კოლხური ბზა *Buxus sempervirens* L. (= *B. colchica* Pojark.) ფართოდ გავრცელებული სახეობაა დასავლეთ საქართველოში, მცირე კორომები გვხვდება ასევე აღმოსავლეთ საქართველოშიც. ბოლო პერიოდში